მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტსა

და

სასტუმრო „ძველ მეიდანს“

შორის

ქ. თბილისი

მემორანდუმი

15.06.2021 ქ. თბილისი

ერთი მხრივ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი”), წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის სახით და მეორე მხრივ, სასტუმრო „ძველი მეიდანი“ (შემდგომში „სასტუმრო”), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის შალვა ალავერდაშვილის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთპატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების სურვილს, დებენ წინამდებარე მემორანდუმს.

1. მემორანდუმის მიზანი

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია: მხარეთა მომავალი ურთიერთთანამშრომლობისათვის საფუძვლის ჩაყრა და მისი შემდგომი ხელშეწყობა; ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში „უნივერსიტეტის” სტუდენტების მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება; მათი პროფესიული პოტენციალის რეალიზაცია და მათი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

   „უნივერსიტეტი” იღებს ვალდებულებას:

   2.1.1. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ გამოყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ფართი (აუდიტორიები, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები).

   2.1.2. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ გამოყოს უნივერსიტეტის სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსები.

   2.1.3. „სასტუმროს“ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაატაროს მიზანმიმართული, სპეციალიზებული კურსები.

   2.1.4. განახორციელოს ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები წინასწარ შეთანხმებულ თემებზე.

   2.1.5. გაუზიაროს „სასტუმროს“ მეცნიერული კვლევის შედეგები და ინფორმაცია.

   2.1.6. უზრუნველყოს „სასტუმროს“ საქმიანობის შესახებ პრეზენტაციებისა და შეხვედრების ორგანიზება.

   2.1. „სასტუმრო“ იღებს ვალდებულებას:

2.2.1. მისცეს „უნივერსიტეტის" სტუდენტებს სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

2.2.2. სტაჟირების გამოცხადების შესახებ შეატყობინოს „უნივერსიტეტის" ადმინისტრაციას.

2.2.3. ვაკანსიების გამოცხადების შესახებ შეატყობინოს „უნივერსიტეტის" ადმინისტრაციას.

2.2.4. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ხელი შეუწყოს თავის სისტემაში „უნივერსიტეტის" კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

2.2.5. უზრუნველყოს „სასტუმროს" თანამშრომელთა მიერ საჯარო ლექციების გამართვა „უნივერსიტეტში".

2.2.6. განახორციელოს ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები წინასწარ შეთანხმებულ თემებზე.

3. დასკვნითი ნაწილი

3.1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

3.2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

3.4. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა გრძელდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

3.5. მემორანდუმის ვადამდე შეწყვეტის შესახებ მხარეები წინასწარ წერილობით ფორმით ატყობინებენ ერთმანეთს.

3.6. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება, მემორანდუმის ფარგლებში, უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

3.7. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ს/კ 20604645 მისამართი: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ 31; 0144 თბილისი, საქართველო ტელ.: (+995) 599 540 350 ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ვებგვერდი: www.thu.edu.ge	სასტუმრო „ძველი მეიდანი" (შპს „ელექსირი") ს/კ 406122967 მისამართი: სამღებროს ქუჩა 9/11 0105 თბილისი, საქართველო ტელ.: (+995 32) 2 55 35 00 ელ-ფოსტა: info@meidanhotels.ge ვებგვერდი: http://www.oldmeidan.ge
/ ვალენტინა საყვარელიძე /	/შალვა ალავერდაშვილი/